

Individual Session –

Minor Literature, Small Literatures, Literatures of Small Nations

Literary Paradigms of Adam Mickiewicz “Faris” in the World Poetry

ადამ მიცკევიჩის „ფარისის“ ლიტერატურული პარადიგმები
მსოფლიო პოეზიაში

Eka Vardoshvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
(Georgia)

ეკა ვარდოშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
(საქართველო)

Abstract:

The work displays, how the literary paradigm of A. Mickiewicz’s “Faris” is manifested in the world poetry.

In 1827 Goethe raised the issue of existence of the world literature, which in itself implies existence of common tendencies and literary paradigms in the world poetry.

It is noteworthy that the works of N. Baratashvili are a new stage of development of the Georgian Romanticism and together with the essence of his works he is next to the European Romanticists.

In Georgian poetry, “Merani” by N. Baratashvili is considered as one of the literary paradigms of A. Mickiewicz’s “Faris”, which was written in 1828. N. Baratashvili wrote his poetic masterpiece in 1842. It is mentioned in the scientific literature that “Faris” was for N. Baratashvili one of the sources of inspiration and we find a number of poetic coincidences between these two poems.

The idea of “Faris” is as follows: a selfless rider rides his steed. There are a lot of obstacles along the way, but he does not give up and moves towards his goal.

During the research, it was found that the poem of the famous Hungarian author Sandor Petofi “Merani” (“Az En Pegazusmon”) was also written under the influence of “Faris”.

Petofi knew the poetry of Mickiewicz, and Petofi’s “Merani”, which was written in 1847, is one of the paradigms of “Faris” in terms of its content, artistic faces, and symbolic meaning.

We find the mentioned literary paradigm also in the works of René Francois Armand Sully-Prudhomme, Heinrich Heine and other examples of world poetry.

Symbolically, all poems express a man’s aspiration towards kindness, freedom and boundlessness.

Keywords: Faris, Literary paradigms, Poetry

საკვანძო სიტყვები: ფარისი, ლიტერატურული პარადიგმები, პოეზია

1827 წელს ეკერმანთან საუბრისას გოეთემ დასვა მსოფლიო ლიტერატურის არსებობის საკითხი, რაც თავისთავად ითვალისწინებს საერთო ტენდენციას და ლიტერატურული პარადიგმების არსებობას მსოფლიო პოეზიაში.

ევროპული ლიტერატურული და სააზროვნო ტრადიციები არაერთგზის აისახა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართული პოეზიის განვითარების ახალი ეტაპია და თავისი შემოქმედების არსით იგი დგას ისეთ ევროპელ მწერალთა გვერდით როგორებიც არიან ბაირონი, მიცკევიჩი, ჰაინე, ლეოპარდი, გოეთე და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ავლებენ პარალელს ა. მიცკევიჩის „ფარისსა“ და ნ. ბარათაშვილის „მერანს“ შორის. საუბრობენ იმის შესახებაც, რომ მიცკევიჩის „ფარისი“ იყო ბარათაშვილის შთაგო-

ნების ერთ-ერთი წყარო. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ა. მიცკევიჩის პოეზიას უკვე იცნობდნენ, 1829 წელს დაიბეჭდა „ფარისის“ ორი რუსული თარგმანი და ბარათაშვილი მათ ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში იცნობდა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ბარათაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ასევე საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელ საზოგადო მოღვაწეებთან. ქართულ ენაზე „ფარისის“ პირველ მთარგმნელად სოლომონ რაზმამეა მიჩნეული, თარგმანი შესრულებულია 1832 წელს და თარგმანი ს. რაზმამემ პირველად გრიგოლ ორბელიანს გაუგზავნა შესაფასებლად.

„გარდა საერთო კულტურული და ისტორიული ფონისა, კონკრეტული ფაქტებისა და მწერალთა განწყობისა, ამ ორ ლექსს შორის არაერთ პოეტურ თანხვედრას ვხვდებით. მაგალითად ფარისი არაბულ ენაზე ნიშნავს მხედარს, ნ. ბარათაშვილის ერთ-ერთ ავტობიოგრაფიულ ხელნაწერში შემონახულია „მერანის“ თავდაპირველი სათაური „თავგანწირული მხედარი“. ნ. ბარათაშვილის „მერანი“ და ა. მიცკევიჩის „ფარისი“ ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში შეიძლება დავუკავშირდეთ „წმინდა მხედარს“ საკითხსაც, რომლის პირველსახეა წმ. გიორგი, რომელიც ევროპული კულტურიდან შემოდის ქართულ ქრისტიანობაში და რომელიც „წმინდა მხედრის“ უმაღლესი იდეალია. ხოლო შუა საუკუნეების რაინდულ იდეალებთან მიმართებაში შეგვიძლია, გარკვეული კუთხით, გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანი“, ან სენკევიჩის „ჯვაროსნები“ (ვარდოშვილი, 2018, გვ. 63).

1829 წელს გოეთესთან სტუმრობისას მიცკევიჩმა დიდ მოაზროვნეს უამბო „ფარისის“ შეთხზვის ამბავი. ლექსი დაიწერა პეტერბურგში ერთ ღამეში. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლექსის შექმნის არაერთი წინაპირობა არსებობდა, სანამ იგი დღის სინათლეს იხილავდა. ი. მეუნარგია (1954, გვ. 232) შენიშნავს: *„მიცკევიჩმა დასწერა თავისი პოემა ორიენტალისტის ვენცესლავ რუევუსკის სახსოვრად, რომელსაც ის ბედი ეწია, რაც პოემის მხედარს“*. საინტერესოა, რომ ნ. ბარათაშვილმა „მერანი“ დაწერა, როდესაც შეიტყო თავისი ბიძის, ილიკო ორბელიანის დატყვევების ამბავი.

„ფარისის“ ფილოსოფიური იდეა ასეთია: თავგანწირული მხედარი მიაქროლებს თავის რაშს. გზად უამრავი წინააღმდეგობა ელობება, მაგრამ იგი ბედს არ ნებდება. მხედარი შეურთდა მარადიულს და თვითონაც გაქრა მასში, აზრმა შეიცნო არსი, საბოლოოდ მან ჰპოვა ბედნიერება.

ა. მიცკევიჩი ლექსს ასე ასრულებს:

„რა კარგი არის მხრები ლაღად რომ გაშლილია!
სამყაროს მკლავნი გავუწოდე ალერსიანად,
ვგონებ, ჩავიკრა დედამიწა მკერდში მთლიანად!
ცისფერ სივრცეში ფიქრი ჩემი მიექანება,
სულ ზევით, ზევით-ცის გუმბათის თაღს ეტანება.
ვით ფუტკრის ნესტარს გადაჰყვება თან მისი გული,
მეც ლაჟვარდ ცაში ფიქრთან ერთად ჩავძირე სული“.
(მიცკევიჩი, 1986, გვ. 170)

„მერანშიც“ თავგანწირული მხედარი მიაქენებს თავის მერანს. მისი მიზანი შთამომავლობისთვის უვალი გზის გაკვალვაა. ლექსი მუსიკალურია არა მარტო ალიტერაციით, მასში ისეთი აზრებია გადმოცემული, რომელთაც სიტყვა ვერ სწვდება. შავი ყორანი ბოროტი სულის სიმბოლოა, რომელიც მუდამ თან სდევს კეთილ ზრახვებს. ბოროტ სულს პოეტმა შავი ფერი შეურჩია, მერანს კი ფერი არა აქვს, რადგან მისი წარმოდგენა არსებითი საგნის სახით შეუძლებელია. მისი ფერი სულის ფერია, ეთეროვანი, გამჭირვალე“ (ვარდოშვილი, 2022, გვ. 65).

„მერანის“ ლოგიკური დასკვნა ასეთია:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს, განწირულის სულის-კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიბნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ
გამოუქროლდეს!“ (ბარათაშვილი, 1972, გვ. 52).

„მერანს“ აქვს მეორე მეტალოგიკური დასკვნაც, რომელიც უსასრულობის შეგრძნებას გვიტოვებს. ბარათაშვილი ლექსს ლაიტმოტივით ასრულებს:

„გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავეს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!“
(ბარათაშვილი, 1972, გვ. 52)

„ფარისის“ ლაიტმოტივი კი ასეთია:
„მივჭრი, უშიშრად ბილიკი ვკვალე,
თეთრფეხა რაშო, წინ გასწი მალე!“
(მიცკევიჩი, 1986, გვ. 169)

სიმბოლურად ორივე ლექსი გამოხატავს ადამიანის გონების სწრაფვას სიკეთისაკენ.

მკვლევარი მ. ფილინა მიცკევიჩის „ფარისს“, ლერმონტოვის „დემონსა“ და ბარათაშვილის „მერანს“ ერთი ციკლის ლექსებად მიიჩნევს.

საინტერესოა ისიც, რომ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ბარათაშვილის „მერანის“ მონათესავე სტრიქონებად დასახელებულია აგრეთვე მერი ჩავორტისადმი მიძღვნილი ბაირონის ლექსის „სიზმრის“ ცნობილი სტროფი (კუჭუხიძე, 1992, გვ. 31).

1828 წელს დაწერა ა. მიცკევიჩისა „ფარისი“, 1842 წელს დაიწერა ნ. ბარათაშვილის „მერანი“. გ. ჯიბლაძე (1968, გვ. 407) შენიშნავს, რომ *„რენე ფრანსუა არმანმა „მერანის“ დაწერიდან ორი ათეული წლის შემდეგ დაწერა თავისი სახელგანთქმული „ჭენება“, რომელიც ძლიერ უახლოვდება ბარათაშვილის გენიალურ ლექსს. გვგონია, რომ სიული პრიუდომის ლექსი დაწერილია იმავე მოარულ თემაზე, როგორც ბარათაშვილისა“*. პირველი, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ფრანგი პოეტი იცნობდა მიცკევიჩის შედევრს, ან სხვა მის მსგავს პოეტურ ქმნილებას და მეორე, საერთო ტენდენციები შეიძლება აისახოს სხვადასხვა ხალხის ლიტერატურულ პროცესებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ან გავლენით, რომლებსაც საერთო ფასეულობები აქვთ.

რენე ფრანსუა არმანის „ჭენებაში“ მხედარი მოუწოდებს თავის მერანს გააქროლოს იგი უსასრულობისაკენ, რათა მთელი ძალით შეიგრძნოს თავისუფლება. მხედარი მზადაა, რომ მერანის ქროლვასაც კი გაუსწროს მისმა ოცნებამ. ამიტომ, მოუწოდებს თავის მერანს გადალახოს ყველა წინააღმდეგობა, რათა ეწვიოს შეუცნობ მხარეს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რენე ფრანსუა არმან სიული-პრიუდომის „ჭენება“ დიდ მსგავსებას ავლენს არა მხოლოდ ნ. ბარათაშვილის „მერანთან“, არამედ ა. მიცკევიჩის „ფარისთანაც“.

მსოფლიო პოეზიიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ცნობილი უნგრელი პოეტის შანდროს პეტეფის ლექსმა „მერანი“ („Az En Pegazusom“). პეტეფი, როგორც პოეტი და მოქალაქე, გამოირჩეოდა თავისი მეზრდოლი სულისკვეთებით. იგი უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო. 1848 წლის უნგრეთის რევოლუციაში მონაწილეობას ღებულობდნენ პოლონელი პატრიოტებიც, რომლებიც 1830 წლის პოლონეთის აჯანყებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი. საქართველოს 1832 წლის შეთქმულებაც მნიშვნელოვანი იყო ევროპის ქვეყნებში განვითარებული მოვლენების ფონზე. სოციალურ-პოლიტიკური ვითარებაც, რა თქმა უნდა, აისახა მწერალ-

თა ნააზრევში და დაიწერა ა. მიცკევიჩის ფარისი“, ბარათაშვილის „მერანი“, შანდორ ფეტეფის „მერანი“, მათში ერთი იდეაა გამოხატული, იდეა თავისუფლებისაკენ სწრაფვის. 1847 წელს დაწერა შანდორ პეტეფმა თავის ლექსი. „უნგრულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მესიანიზმის მოტივი მიცკევიჩისა და პეტეფის პოეტურ ქმნილებებში იმდენად მსგავსია, რომ გავლენის წყარო აუცილებლად მიცკევიჩის „ფარისი“ უნდა ყოფილიყო“ (ვარდოშვილი, 2022, გვ. 81).

მიუხედავად იმისა, რომ პეტეფი რეალისტი, მისი შედეგები დიდ მსგავსებას ავლენს როგორც მიცკევიჩის „ფარისთან“, ასევე ბარათაშვილის „მერანთან“.

„შანდორ პეტეფის მერანი თვალუწვდენელ ლამაზ ტრამალებში მიაქროლებს თავის მხედარს. ელვასაც კი უსწრებს მისი სიჩქარე, რადგან პუშტისაკენ ისწრაფვის, სადაც მისი სამშობლოა. მერანი მიჰქრის და ერთი ნიშანიც კმარა, „რომ ქვეყნის კიდე გადაატაროს“, უსასრულობაში დაინთქას, ირეალურში გადავიდეს, რასაც ბარათაშვილთან „ბედის სამძღვრის“ გადაღახვა ეწოდება.

ჭენებით არ იღლება მერანი, რადგან წინ დიდი გზა აქვს გასავლელი, რადგან პოეტის ოცნება „შორს იწევს“ (ვარდოშვილი, 2022, გვ. 83).

მხედარი მოუწოდებს თავის მერანს:

„გასწი,
ნაპრალზე გადამატარე,
ვერ მოგეწიოს
ქროლვით ვერავინ.
და თუ გზად მტერი
გადამეღობოს,
მტერი არ დაგრჩეს
გადუთქერავი“.
(პეტეფი, 1973, გვ. 52)

თავისი შინაარსით, მხატვრული სახეებით, სიმბოლური დატვირთვით ლექსებს შორის არაერთ თანხვედრას ვხვდებით, მაგალითად:

მიცკევიჩი: „თეთრფეხა რაშო, წინ გასწი მალე“ (1986, გვ. 167).

ბარათაშვილი: „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო“ (1972, გვ. 51).

პეტეფი: „გასწი, ნაპრალზე გადამატარე“ (1973, გვ. 52).

საზოგადოდ მერანის სახე პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ. როგორც ჩვენს მიერ განხილულ ლირიკულ შედევრებში, ასევე ზოგადად მსოფლიო პოეზიაში.

ყველა ლექსი გამოხატავს ადამიანის სწრაფვას თავისუფლებისა და უსაზღვროებისაკენ, რადგან თავისუფლება არის ადამიანური ყოფიერების უმაღლესი გამოხატულება.

გვინდა შევნიშნოთ, რომ „ევროპული ლიტერატურის ახალი ეპოქის დასაწყისს მოასწავებდა ლირო-ეპიური პოემის წარმოქმნა. ეპოქის ისტორიული შინაარსი პოემის ამ ჟანრულ სახეობაში გატარებულია პიროვნულ პრიზმაში: ხდება პოეტის პიროვნების ახალი აღმოჩენა. მკითხველის წინაშე კლასიკური პოემის ობიექტური სურათის ნაცვლად, დადგა არა ერთი, არამედ ორი ობიექტი: ეპოქის შინაარსი და პოეტის პიროვნება. ამ დროის ევროპული პოეზიის დამახასიათებელი ნიშანი ხდება ავტორის „მე“-ს ობიექტივიზაცია“ (კენჭოშვილი, 1974, გვ. 100).

ზოგ შემთხვევაში მერანის სახე დაკავშირებულია არა ზოგადსაკაცობრიო ტენდენციებთან, არამედ პოეტის პირად, რომანტიკულ განწყობასთან. ამ მხრივ საინტერესოა გოეთეს ლექსი „შეხვედრა და განშორება“.

„ათრთოლდა გული, ვთქვი: ცხენი ჩქარა!
და გავაქროლე დაუზოგავად.
მიწას საღამოს ბინდი ეფარა,
ლურჯ მთებს წყვდიადი ჰღებავდა შავად.

.....
წაველ, დაგტოვე, შენ შემომხედე,
ცრემლით აგვესო თვალი ვნებული.
ღმერთებო, აი ბედნიერება –
გიყვარდეს, იყო შეყვარებული!“

(გოეთე, 1952, გვ. 22-23)

მერანის სახე პოეტის პირად განცდებს, გაზაფხულისა და სიყვარულის გრძნობას უკავშირდება.

ჰაინრიხ ჰაინე თავის ერთ-ერთ უსათაურო ლექსში: („კვლავ დამიბრუნდა ჯეელის ჯანი“) ამბობს:

„კვლავ დამიბრუნდა ჯეელის ჯანი,
კვლავ მიმაქროლებს ჩემი მერანი;
თითქოს ამ ტრფობის ცეცხლიცა ვცანი,
სატრფოს ციხე და გულის ძგერანი.
კვლავ დამეუფლა ჯეელის ჯანი,
კვლავ მიმაქროლებს თითქოს მერანი,
კვლავ ბრძოლის ჟინი მომიცავს მძლავრი,
მესმის მეგობრის გულის ძგერანი“.

(ჰაინე, 1978, გვ. 509)

ამ შემთხვევაში პოეტის რომანტიკული განცდა და სატრფოს ხატება ერწყმის ბრძოლის სურვილსა და ჟინს. ეს ლექსი შეიძლება გარკვეული კუთხით მივაკუთვნოთ „ფარისის“ თემაზე შექმნილ პოეტურ ქმნილებათა რიგს.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ დ. მიცკევიჩის „ფარისის“ ლიტერატურული პარადიგმა ვლინდება მსოფლიო პოეზიის ნიმუშებში.

სიმბოლურად, ყველა ლექსი გამოხატავს ადამიანის სწრაფვას თავისუფლებისა, სიკეთისა და უსაზღვროებისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარათაშვილი, ნ. (1972). თხზულებანი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- გოეთე, ი. (1952). ლექსები, თბილისი: „საბჭოთა მწერალი“.
- ვარდოშვილი, ე. (2018), ახალი ქართული ლიტერატურა და ევროპული მწერლობა, თბილისი: „უნივერსალი“.
- ვარდოშვილი, ე. (2022) ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობათა ისტორიიდან, თბილისი: „უნივერსალი“.
- კენჭოშვილი, ი. (1974) ქართულ-ევროპული პოემების პარალელები, ლიტერატურული ურთიერთობები, V, 89-102. თბილისი: „მეცნიერება“.
- კუჭუხიძე, მ. (1992). ბაირონი და XIX საუკუნის ქართული მწერლობა, თბილისი: „საქართველო“.
- მეუნარგია, ი. (1954). ქართველი მწერლები, თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.
- მიცკევიჩი, ა. (1986) რჩეული თხზულებანი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- პეტეფი, შ. (1973). რჩეული, თბილისი, „მერანი“.
- ჰაინე, ჰ. (1978). რჩეული თხზულებანი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

References:

- Baratashvili, N. (1972). Tkhzulebani. [Essays]. Tbilisi: „sabch’ota sakartvelo“.
- Goete, I. (1952). Leksebi. [Poems]. Tbilisi: „sabch’ota mts’erali“.
- Haine, H. (1978). Rcheuli tkhzulebani. [Selected Works]. Tbilisi: „sabch’ota sakartvelo“.
- K’enchoshvili, I. (1974). Kartul-evrop’uli p’oemebis p’aralelebi, lit’erat’uruli urtiertobebi, V. [Parallels of Georgian-European poems, Literary relations, V]. Tbilisi: „metsniereba“, 89-102.
- K’uch’ukhidze, M. (1992). Baironi da XIX sauk’unis kartuli mts’erloba. [Byron and 19th century Georgian writing]. Tbilisi: „sakartvelo“.
- Meunargia, I. (1954). Kartveli mts’erlebi. [Georgian Writers]. Tbilisi, sametsniero-metoduri kabinetis gamomtsemloba.
- Mitskevichi, A. (1986). Rcheuli tkhzulebani. [Selected Works]. Tbilisi: „sabch’ota sakartvelo“.
- P’et’epi, Sh. (1973). Rcheuli. [Selected Works]. Tbilisi, „merani“.
- Vardoshvili, E. (2018). Akhali kartuli lit’erat’ura da evrop’uli mts’erloba. [New Georgian Literature and European Writing]. Tbilisi: „universali“.
- Vardoshvili, E. (2022). Kartul-evrop’uli lit’erat’uruli urtiertobata ist’oriidan. [From the history of Georgian-European literary relations]. Tbilisi: „universali“.